

### გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვა

გიმნაზიაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი.

გიმნაზიაში ბავშვის მისაღებად მშობელმა/მშობლის კანონიერმა წარმომადგენელმა (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით იურიდიულად უფლებამოსილი პირი) უნდა წარმოადგინოს:

- ა) განცხადება რექტორის სახელზე - სასწავლო წლის დაწყებამდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში;
- ბ) დაბადების მოწმობის ასლი ნოტარიულად დამოწმებული, რომელზეც მითითებული უნდა იყოს სამოქალაქო რეესტრის მიერ მინიჭებული პირადი ნომერი;
- გ) ორი ფოტოსურათი - ზომით 3x4;
- დ) ჯანმრთელობის ცნობა/სსსსმ მქონე მოსწავლის შემთხვევაში ამონაწერი ისტორიიდან;
- ე) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;
- ვ) მშობლის კანონიერი წარმომადგენლის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იურიდიულად უფლებამოსილი პირის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ზ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში, განათლების აღიარების დოკუმენტი მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის შემთხვევაში, მოსწავლის შესაბამის კლასში ჩასარიცხად, მშობელმა/მშობლის კანონიერმა პირმა უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე, ხოლო მოსწავლის სრულყოფილად შეესებული (შეფასება (მიმდინარე/საბოლოო აკადემიური მოსწრების პედაგოგიური დაკვირვების შედეგი, კომენტარები და ინფორმაცია გაცდენებზე) პირადი საქმე წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ფოსტის მეშვეობით, გამოგზავნაზე პასუხისმგებელია გამომგზავნი სკოლა.

მოსწავლის გიმნაზიაში ჩარიცხვამდე, გიმნაზია ჩასარიცხი მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის თავსებადობის დადგენის მიზნით, ჩასარიცხ მოსწავლეს დაწყებით (I-IV) კლასებში უტარებს ზეპირ გასაუბრებას. ეს პროცედურა გიმნაზიას საშუალებას აძლევს, დაადგინოს მოსწავლის მიერ საგნის/საგნების სტანდარტის შედეგების დაფარვის დონე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მოსწავლისათვის ინდივიდუალური ან/და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედგენა კლასისა და საგნის გათვალისწინებით სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით.

მოსწავლეთა ჩარიცხვა გიმნაზიაში ხორციელდება რექტორის ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის/ბრძანების საფუძველზე.

პირველ კლასში ჩარიცხულ ყველა მოსწავლეს იხსნება პირადი საქმე, რომელსაც ენიჭება ნომერი მოსწავლის ანბანური ჩანაწერის წიგნის მიხედვით.

გიმნაზიაში ჩარიცხვის შემთხვევაში, დირექცია მოსწავლესა და მშობელს/მშობლის კანონიერ წარმომადგენელს აცნობს შინაგანაწესს.

გიმნაზიის თითოეულ კლასში მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობაა - 10, მაქსიმალური - 20; კლასიდან კლასში გადასაყვანად ერთი საგნის დაძლევის მინიმალური ბარიერია 5,0 ქულა და მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლეს ეძლევა საშემოდგომო გამოცდა წინასწარ შედგენილი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის მიერ შედგენილი და აღმასრულებელი დირექტორის დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, რომელსაც ჩააბარებს საგნის პედაგოგის მომზადებული და აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებული დავალების საფუძველზე.

გიმნაზია სარგებლობს 2022-2023 სასწავლო წლის კალენდრით, სადაც წარმოდგენილია სწავლის დაწყება-დამთავრების და არდადეგების ხანგრძლივობა

2022-2023 სასწავლო წლის დაწყება				2022-2023 სასწავლო წლის დამთავრება			
2022 წლის 15 სექტემბერი				2023 წლის 15 ივნისი			
სასწავლო დღეები და არდადეგები							
№	სემესტრი	სასწავლო დღეების რაოდენობა	კლასები	სულ სასწავლო დღეები	არდადეგები		სასწ. შაბ. დღეები
					დაწყება	დამთავრება	
1	I	74	I და XII	74/74	29.12.2022	15.01.2023	საჭიროებისამებრ
2	II	79	I და XII	83/79			
II – XI კლასები							
1	I	74	II – XI კლასები	171	<u>სააღდგომო</u> 14.04.2023	18.04.2023	საჭიროებისამებრ
2	II	97	II – XI კლასები		16.06.2023	სექტემბერი 14.09.2023	

შენიშვნა: გიმნაზია სარგებლობს საქართველოს შრომის კოდექსით, გათვალისწინებული უქმე დღეებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის რეკომენდაციებით.

4.3. საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეები - მუხლი 20. უქმე დღეები

უქმე დღეები		
1	1 და 2 იანვარი	ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;
2	7 იანვარი	უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე;
3	19 იანვარი	ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე;
4	3 მარტი	ღედის დღე;
5	8 მარტი	ქალთა საერთაშორისო დღე;
6	9 აპრილი	საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონებისდღე;
7	სააღდგომო დღეები	დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორედღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია); ბრწყინვალე შვიდეული (ორშაბათი-კვირა)
8	9 მაისი	ფაშინაზე გამარჯვების დღე;
9	12 მაისი	საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის - წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;
10	26 მაისი	საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;
11	28 აგვისტო	ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);
12	14 ოქტომბერი	მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე;
13	23 ნოემბერი	გიორგობა.

ჩვენი დღის რეჟიმი ასეთია:  
 გაკვეთილების დაწყება-დამთავრებისა და დასვენების ხანგრძლივობა  
 2022-2023 სასწავლო წელი  
 I კლასი  
 პირისპირ სწავლების დროს  
 გაკვეთილების ხანგრძლივობა - 35 წუთი, დასვენების ხანგრძლივობა - 10 წუთი  
 გაკვეთილის დაწყება 09:00

№	გაკვეთილების		დასვენების	
	დაწყება	დამთავრება	დაწყება	დამთავრება
1	9:00	9:35	9:35	9:45
2	9:45	10:20	10:20	10:30
3	10:30	11:05	11:05	11:20
4	11:20	11:55	11:55	12:05
5	12:05	12:40	12:40	12:50

I-IV კლასების  
 დისტანციური სწავლებისას  
 გაკვეთილების ხანგრძლივობა - 20 წუთი, დასვენების ხანგრძლივობა - 10 წუთი  
 გაკვეთილის დაწყების დრო 10:00

№	გაკვეთილების		დასვენების	
	დაწყება	დამთავრება	დაწყება	დამთავრება
1	10:00	10:20	10:20	10:30
2	10:30	11:50	11:50	12:00
3	12:00	12:20	12:20	12:30
4	12:30	12:50	12:50	13:00
5	13:00	13:20	13:20	13:50

II - XII კლასი  
 პირისპირ სწავლების დროს  
 გაკვეთილების ხანგრძლივობა - 45 წუთი, დასვენების ხანგრძლივობა - 5 წუთი  
 გაკვეთილების დაწყება - 9:00

№	გაკვეთილების		დასვენების	
	დაწყება	დამთავრება	დაწყება	დამთავრება
1	9:00	9:45	9:45	9:50
2	9:50	10:35	10:35	10:40
3	10:40	11:25	11:25	11:40
4	11:40	12:25	12:25	12:30
5	12:30	13:15	13:15	13:20
6	13:20	14:05	14:05	14:10
7	14:10	14:55	14:55	15:00

II – XII კლასი  
 დისტანციური სწავლებისას  
 გაკვეთილების ხანგრძლივობა - 25 წუთი, დასვენების ხანგრძლივობა – 5 წუთი  
 გაკვეთილების დაწყება - 10:00

№	გაკვეთილების		დასვენების	
	დაწყება	დამთავრება	დაწყება	დამთავრება
1	10:00	10:25	10:30	10:40
2	10:30	11:55	11:10	11:20
3	12:00	11:50	11:50	12:00
4	12:00	12:30	12:30	12:40
5	12:40	13:10	13:10	13:20
6	13:20	13:50	13:50	14:00
7	14:00	14:30	14:30	14:40
8	14:40	15:10	15:10	15:40

შენიშვნა: დიდი დასვენება იწყება მე-3 გაკვეთილის შემდეგ და მისი ხანგრძლივობა დიდი დასვენება განისაზღვრება 15 წუთით.

გიმნაზია მოსწავლეებს დამატებითი ფაკულტატურის სახით სთავაზობს ორ საგანს, კერძოდ:

1. საღვთო სჯულს I-XII კლასებში ორ-ორ საათს;
2. ქიმიას VII კლასში ერთ საათს - ფაკულტატურის სახით. ქიმიის სწავლება შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის მიერ. ქიმიაში მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით.

გიმნაზიაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფი, რომელიც უფასოდ/გადასახადის გარეშე მოემსახურება I-IV კლასის მოსწავლეებს მშობლის განცხადების საფუძველზე.